წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 12

ქ. წყალტუბო 10 ოქტომბერი, 2025 წელი

2025 წლის 10 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: სერგო კირკიტაძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარე: გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, ნარგიზა ტყაბლაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი დოლიძე, ნოდარ ასათიანი, ომარ სინაურიძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, დევი დოლაბერიძე, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, გელა ბურჯალიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი-მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი ირინა ჩაკვეტაძე და საკრებულოს საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა. მან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა 4 ოქტომბერს საქართველოში გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დამაჯერებელი გამარჯვება, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებსა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს: მაკა ჭელიძეს, იასონ ბზიკაძეს, ვეფხვია ბანძელაძეს, გიორგი დოლიძეს და სხვებს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობისთვის.

სწორედ ,, ქართული ოცნება'' ნიშნავს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას, კეთილდღეობას და ევროპისკენ სვლას-განაცხადა თეიმურაზ ჭეიშვილმა.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა მაკა ჭელიძემ/თან ერთვის/.

თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე/

2.,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ'' გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს:ირინე ცაავა/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე -22

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ ბიუჯეტი იყო 58 535 425 ლარი. იქნება 59 654 425 ლარი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 1 119 000 ლარით.კერძოდ:

1. სხვა შემოსავლები -1 080 000 ლარი (სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი-1 000 000 ლარით და მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -80 000 ლარი)
2. არაფინანსური აქტივების კლება-39 000 ლარი(ძირითადი აქტივები -10 000 ლარი და მიწა-29 000ლარი).

ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერება 1 119 000 ლარი, კერძოდ:

1. ა(ა)იპ ,, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი'' სუბსიდირება -39 000ლარი;
2. გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების პროგრამაში- საქონელი და მომსახურეობა- 470 000
3. ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია -საქონელი და მომსახურეობა-60 000 ლარი.
4. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების სხვა ხარჯები-220 000 ლარი.
5. ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია საქონელი და მომსახურეობა-150 000.

6. კულტურული ღონისძიებები - საქონელი და მომსახურეობა -80 000 ლარი (საახალწლო განათება).
7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება-სოციალური უზრუნველყოფა-ფულადი ფორმით-100 000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირინე ცაავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანურ რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე